# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასახეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



ტფილისში, ბერენშტამის წიგნის მაღაზიაში ისყიდება

ფრანგულს ენაზედ

**საქართველოს ისტორია**

(ძველი ისტორია),

შედგენილი თ. სულხან ბარათაშვილისაგან,

თარგმნილი

ჟულ მურიეს მიერ. 5—3

ვეძებ ფრანგულის ენის გაკვეთილებს.

პეტრე მირიანიშვილი.

მეორე ნაგორნის ქუჩა, № 9. (10—4)

„ᲬᲔᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“

**გამგეობა**

აცხადებს, რომ სოფ. თონეთის (ტფილისის მაზრა) სკოლაში თავისუფალია მასწავლებლის ადგილი. ვისაც სურს ამ ადგილის დაჭერა, უნდა გამოგზავნოს თხოვნა საზოგადოების კანცელარიაში.


ტფილისი, 6 სექტემბერი

იმპერატორი გერმანიისა ფრიდრიხი რომ გადაიცვალა, ჩვენა ვსთქვით, რომ თუმცა ხელმწიფება იმისი ხან-მოკლე იყო, სულ სამი თთვე, მაგრამ ამ აწ განსვენებულის იმპერატორის მიერ აღძრული აზრები თავის ადგილს მოიპოვებენ გერმანიაში და ამიტომაც საფიქრებელი არ არის, რომ კეთილ-განზრახვანი ამ კეთილისა და კაცთ-მოყვარე იმპერატორისა ამაოდ და უქმად ჩაივლიანო. ამ წინად თქმას დიდი ნიჭი წინასწარმეტყველობისა არ უნდოდა, თუ რომ კაცს ცოტად თუ ბევრად გაგებული ექმნებოდა გერმანიის წინა-კაცთა აზრის მოძრაობა და ვითარება. გერმანიაში ყოფილან და არიან კიდეც იმისთანა კაცები, რომელთათვისაც ცხოვრება ცხოვრებად არ არის, თუ რომ ყოველი ბიჯი, თუნდ იმისთანა ნიჭიერისა და ძლიერის კაცისა, როგორიც ბისმარკია, საზოგადო განკითხვას არ ექვემდებარება და პასუხის-გებისაგან აჴნილი და თავისუფალი იქმნება

გერმანიაში, თუმცა კარგა ხანია პარლამენტი, ესე იგი, ერის წარმომადგენელთა კრებული არსებობს, მაგრამ სამინისტროები პასუხის მგებელნი არ არიან ამ კრებულის წინაშე. იგინი ყურ-მოჭრილ ყმასავით ექვემდებარებიან მარტო თ. ბისმარკსა და თითქმის მარტო იმისაგან განიკითხებიან. პარლამენტმა, რაც გინდ აზრი და მიმართულება იცვალოს, ეს ცვლილება არაფრით დაეტყობა ხოლმე სამინისტროებს და ამ სახით ერის წარმომადგენლობა გერმანიაში ისე ყოვლად შემძლებელი არ არის, როგორც მაგალითებრ, საფრანგეთსა, ინგლისსა და სხვა ამისთანაებში. ამიტომაც გერმანიაში მინისტრები ისე მალ-მალ არ იცვლებიან პარლამენტის მიმართულების მიხედვით, როგორც სხვაგან და რაკი ფეხს მოიკიდებენ სამინისტროში, იქამდე არიან მინისტრებად, ვიდრე თ. ბისმარკს ეხერხება და ეამება.

ეს ამისთანა მდგომარეობა გერმანიისა ჭკუაში არ მოუვიდა იმპერატორს ფრიდრიხს და ტახტზედ ასვლის უმალვე თავისი გონიერი თვალი ამ ტკივილს გერმანიისას მიაპყრა. მან მოისურვა ჩამოეგდო გერმანიაში სამინისტროების იმ წესზედ დაყენება, რომ პასუხის მგებლობა მათი გაძლიერებულიყო და მით თვით-ნებობა სამინისტროებისა და მათთან ერთად თ. ბისმარკისა აღაგმულიყო. იმპერატორს ფრიდრიხს არ დასცალდა ამ წესის დადგინება, მაგრამ მის მიერ ფრთა-შესხმულმა აზრმა თავისი არ დაიშალა და, როგორც ეტყობა, ლამის თავისი გაიტანოს კიდეც.

დღეს გერმანიაში, რაც-კი დაუმოკიდებელი კაცია თუ გაზეთი, სულ იმას გაიძახიან, რომ აწინდელ წესზედ დარჩენა სამინისტროებისა შეუძლებელია: სამინისტროები პარლამენტის განკითხვას და პარლამენტის წინაშე პასუხის-გებას უნდა ექვემდებარებოდესო. ამ აზრისაა თურმე თვით ახალი იმპერატორიც ვილჰელმი და ეს ყველას უკვირს და ეოცება. უკვირს და ეოცება იმიტომ, რომ დღეს აქამომდე ეგონათ, ვითომ ახალი იმპერატორი ყველაფერში თ. ბისმარკის დამყოლია და მის უნებურს არაფერს მოახდენსო. რომ ამ სახით სამინისტროების გადაკეთება და გარდაცვლა ვერაფრად საამურია თ. ბისმარკისათვის, ეს აშკარაა. თ. ბისმარკი ჯერ იმპერატორ ფრიდრიხის დროს ეურჩებოდა ამ გვარს განზრახვასა და ეხლაც მისი მომხრე გაზეთები არაფერს არა ჰზოგვენ, რომ ყოვლის თავისის ძალ-ღონით წინააღუდგნენ ამ ახალს სურვილსა. თ. ბისმარკის მხრით ესეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ეს განზრახული ცვლილება ყველაზედ უწინარეს ჩამოაცლის ფხას იმის ბატონობასა და თვით-ნება მძლავრობას.

თუმცა ამ ცვლილების მოპირდაპირედ იმისთანა შემძლებელი კაცია გერმანიაში, როგორც ბისმარკი, მაგრამ მეიდნიდამ ბურთს მაინც ამ ცვლილების მომხრენი გაიტანენ დღეს იქნება, თუ ხვალ, რადგანაც მართალი ამათკენ არის ამ შემთხვევაში. დღეს გერმანიაში ბევრნი არიან, რომელთაც სამოქმედო საგნად ამ ცვლილების მოხდენა აუღიათ და ამისათვის იღვწიან და ირჯებიან და რაკი იმპერატორი ვილჰელმიც მოწადინებული იქმნება, თ. ბისმარკიც იძულებულ გახდება უკეთესთა სურვილს დაემორჩილოს, ან არა და გადადგეს სამსახურიდამ. იმისი გადადგომა, არა გვგონია, იმპერატორმა ვილჰელმმა ინებოს და ამიტომაც უფრო საფიქრებელია, რომ თ. ბისმარკი ტკივილით გულში დაემორჩილება თავის უნებურს საქმესა, როცა მეტი გზა აღარ ექმნება.

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 5 სექტემბერს, მოხდა პირველი კრება ქალაქის საბჭოში, შემდეგ ზაფხულის კანიკულებისა. წინააღმდეგ მოლოდინისა, ხმოსანთა რიცხვი კანონიერზე მეტი იყო. საგანი ბჭობისა იყო სამი საკითხი: პირველი ისა, რომ „პრიკაზის“ კომისიისათვის ამოერჩია ქალაქს ორი დეპუტატი, თანხმად ქალაქის თავის წინადადებისა. ამ საგანზედ ქალაქის თავმა სთქვა, რომ რადგან „პრიკაზის“ საქმეები გადასწყდა და ეხლა შესდგა კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს მდგომარეობა დაგირავებულ მამულებისა და ამის კვალობაზედ დაადგინოს გადასახადები ყოველის მათგანისაო, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ ქალაქის თვით-მმართველობასაცა ჰყავნდეს ამ კომისიაში ორი თავისი წარმომადგენელიო. ამასთანავე ქალაქის თავმა ურჩია საბჭოს ერთ-ერთ წარმომადგენლად ამოერჩიათ ბ-ნი იზმაილოვი, როგორც მცოდნე „პრიკაზის“ საქმეებისა. საბჭომ მიიღო წინადადება ქალაქის თავისა და ამოირჩია კომისიის წევრებად ბ-ნები იზმაილოვი და კანდურალოვი.

მეორე საგანი შეეხებოდა კუბოებისა და ძეგლების გასყიდვას კარგ და მრავლად დასახლებულს ქუჩებზე. ილაპარაკეს იმაზედ, თუ სად იქმნას გადატანილი კუბოების დუქნები და მაღაზიები, მაგრამ ვერაფრით დააბოლოვეს ეს საქმე.

მესამე საგანი ის იყო, რომ სექტემბრის უკანასკნელს სამს დღეს მოემატოს ფასი ფაიტონსა და „დროჟკასაო“. საბჭომ დააწესა ერთი-ორად აიწიოს ამ ფასმაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნს ლევან მჭედლიშვილს შავშეთში უპოვნია და ბათუმში ჩაუტანია ერთი ძველი ხელთნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“. თუმცა ამ უკვდავის პოემის ძველი ხელთნაწერები ბევრი მოიპოვება, მაგრამ მაინც საყურადღებოა ამ ახალის ნახვაც, რადგან შეიძლება ვარიანტს წარმოადგენდეს რასმე. იმედია, ბ-ნი მჭედლიშვილი, თუ არ შესწირავს, გაასინ-

## ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ჰამლეტი

დანიის დედოფალი გერტრუდა დაქვრივდა. იმისი ქმარი ჰამლეტ-მეფე უეცრად გარდაიცვალა. ორს თთვეს არ გაუვლია დაქვრივების შემდეგ და გერტრუდა თავისს მაზლს, კლავდიუსს ცოლად გაჰყვა. ასეთმა ქორწინებამ ხალხი მეტად გააკვირვა; ზოგი ამბობდა, რომ გერტრუდას ეგ თავ-ქარიანობით მოუვიდაო, ზოგი ამბობდა: დედოფალი მეტის-მეტად უგრძნობელი დედაკაცი უნდა იყოსო, თორემ როგორ მოხდა, რომ ისეთს კაცს გაჰყვა, რომელიც ღირსებით, ყოფა-ქცევითა და შეხედულობითაც-კი უწინდელს ქმარზე გაშორებით ნაკლებიაო; ზოგს ის ეჭვიცა ჰქონდა, რომ უთუოდ კლავდიუსმა თავისი გვირგვინოსანი ძმა მოჰკლა და, რომ კანონიერის მემკვიდრის პრინც ჰამლეტისათვის ტახტი წაერთმია, დედოფალი ცოლად შეირთოო.

დედის ასეთმა აჩქარებულმა გათხოვებამ გული და გონება აუმღვრია და აუშფოთა ახალგაზდა ჰამლეტს, რომელიც დიდ-სულოვანი და კეთილ-შობილებით აღსავსე ჭაბუკი იყო. თავისი მამა კაცობრიობის იდეალად მიაჩნდა, ესასოებოდა და თაყვანსა სცემდა იმისს სახელს, ამიტომ ვერ შესძლო თავისის დედის ასეთის საქციელის ატანა. დედოფლის ულირსის ყოფა-ქცევის სირცხვილმა, მისდამი ზიზღმა და მამის უდროოდ დაკარგვის მწუხარებამ შეიპყრა ჰამლეტის არსება და სრულიად გამოსცვალა. მუდამ დაღვრემილი და გაბოროტებული იყო ჰამლეტი; ერიდებოდა საზოგადოებას, აღარაფერს გასართობს აღარ ეტანებოდა; აღარ იზიდავდნენ აღარც სამხედრო ვარჯიშობანი, აღარც ნადირობა, რომელიც ყოველის ჭაბუკისათვის სანატრელი შესაქცევარია. აქამომდე წიგნის კითხვას იყო გადაყოლილი, ახლა წიგნებიც შეიძულა; მოსძულდა მთელი ეს სოფელი და ქვეყანა. წუთი-სოფელიო,—ამბობდა ჰამლეტი, გაუმარგვლელი ბაღია, სადაც კეთილ-სურნელოვანი ყვავილები სქელს შალტამში ჰკრთებიან და სჭკნებიანო. ტახტის მემკვიდრეობაზე რომ ასე უსამართლოდ ხელი აალებინეს, ამან, მართალია, გული ატკინა, მაგრამ ეგ არ იყო იმისის სულის მღელვარების მიზეზი. ჰამლეტს სტანჯავდა უფრო საზიზღარი ყოფა-ქცევა დედისა, რომელმაც ასე უეცრად დაივიწყა თავისი მოსიყვარულე, დიდ-სულოვანი და თვალ-ტანადი მეუღლე. გულს უშანთავდა სულის სიმდაბლე დედისა, რომელიც ორის თთვის წინად ცბიერებით ყელს ეხვეოდა, ჰკოცნიდა და თითქო გადაჭარბებულის სიყვარულით გულზე აკვდებოდა განსვენებულს მეფეს. შემდეგ ასეთის ალერსისა, გარდაეცვალა თუ არა ქმარი, ორი თთვე არ გასულა, ორი თთვე და მეორე ქმარს გაჰყვა, მეორეს, და მერმე ვის? თავისის ქმრის ძმას, თავისს მაზლს.

ეგ ბიწიერი ქორწინება ისეთს კაცთან, რომელიც სამეფო გვირგვინის ღირსი არ იყო, აჩქარებული ქორწინება, საწინააღმდეგო ბუნებისა და სინიდისისა, შერთვა უმახლობელესის ნათესავისა, აი, ეს ჰქენჯნიდა ჰამლეტის კეთილშობილს სულს და არა ტახტის დაკარგვა.

ახალი ცოლ-ქმარნი, მეფე-დედოფალი სცდილობდნენ ჰამლეტის შექცევასა და გართობას, მაგრამ ამაოდ: იგი მუდამ შავებში იყო, მუდამ ძაძა მოსილი დაიარებოდა სასახლეში, მუდამ ჰგოდებდა და მოსთქვამდა თავისის მამის უბედურებას, ქორწინების დღესაც არ გაუხდია სამგლოვიარო ტანისამოსი, შავით მოსილი მივიდა მეფე-დედოფალთან მისალოცავად და ქორწილის ლხინსა და ნადიმში მონაწილეობას აბა როგორ-ღა მიიღებდა!

ამას გარდა კიდევ უფრო ის აშფოთებდა და აბოროტებდა, რომ ვერ გაეგო მიზეზი მამის სიკვდილისა. ამბობდნენ, ვითომ გველმა უკბინაო, მაგრამ ჰამლეტს ეგ არა სჯეროდა. უფრო იმ აზრისა იყო, რომ მეფის მკვლელი კლავდიუსიაო, იმან მოუკლა ძვირფასი მამა ტახტის გულისთვისაო. ვერ განიშორა ის ეჭვი, რომ გველი, რომელმაც დაჰხამა იმისი მშობელი, სამეფო ტახტზე ბძანდებოდა. სხვა-და-სხვა ეჭვებმა უფრო და უფრო გააცეცხლეს ჰამლეტი, იგი ვერ დაადგა ერთს აზრს, ვერ გაიგო, რამდენად დამნაშავე იყო ბიძა იმისი, ვერ გამოიკვლია, ერია თუ არა დედა იმისი ამ მკვლელობაში; იმის თანხმობით მოხდა, თუ არა ეს მომაკვდინებელი ცოდვა? ყოველივე ეს სტანჯავდა, ჰქანცავდა სულიერად და არ ასვენებდა საბრალოს არც ერთს წუთს.

ქორწინების შემდეგ გავარდა ხმა, რომ ვითომც სამის ღამის განმავლობაში ყოველს თორმეტს საათზე დარაჯ-გუშაგებს ეჩვენებათ რაღაც მოჩვენება-ლანდიო, რომელიც სრულიად პირ-წავარდნილი მიცვალებული მეფეაო. ამ ხმას ჰამლეტმა ყური მოჰკრა. ამბობდნენ, რომ ეგ არა ამ ქვეყნიერი არსება იმ აბჯრით არის დაიარაღებული, რომელსაც განსვენებული მეფე ატარებდაო. ყველა, ვისაც იგი ენახა (იმათ შორის ჰამლეტის მეგობარი ჰორაციოც ერია), თანხმად ჰმოწმობდნენ: ამა-და-ამ დროს გამოცხადდება და ამისთანა და ამისთანა სახისა არისო. ყველა ერთ-ხმად ამტკიცებდა: თორმეტს საათზე მოდის, ფერ-მკრთალია, სახეზე უფრო მწუხარება ეტყობა, ვიდრე გაჯავრება. წვერი ჭაღარა აქვს და ოდნად ვერცხლის ფერი დაჰკრავს, როგორც სიცოცხლეში ჰქონდა განსვენებულსაო. როცა რასმეს ვკითხავთ, პასუხს არ იძლევა, მხოლოდ ერთხელ შევნიშნეთ, ვითომც თავი ასწია და ლაპარაკს აპირებდაო, მაგრამ მამლის ყივილმა უეცრად ხელი შეუშალა, ამიტომ გვერდზე გასხლტა და განგვეშორაო. ახალგაზდა პრინცს საოცრად მიაჩნდა

ჯვინებს მაინც ამ ხელთნაწერს «წერა-კითხვის საზოგადოებას» და ისე არ მოიქცევა, როგორც იქცევა თურმე ბათუმელივე ბ-ნი ესტატე კოპალაძე, რომელსაც რაღაც ძველი ხელთნაწერი შეუძენია და ადამიანიშვილს თვალით არ აჩვენებს.

*** ამ თთვის ორს იარმუკაზე ერთმა ძალზედ გაჭენებულმა ფაიტონმა, რომელშიაც ერთი სამხედრო გენერალი იჯდა, ერთს პატარა ბიჭს ფეხებზე გადაუარა. გენერალმა მაშინვე გააჩერებინა გაჭენებული ფაიტონი, მეფაიტონე სასტიკად გაჰკიცხა და შემდეგ პოლიციაში გაგზავნა.

*** არბოს წმინდა გიორგის დღესასწაულის დღეს სოფ. არბოში ქართული წარმოდგენა გაუმართავთ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ.

*** ამ ჟამად ტფილისში მუშა ხელი ერთობ დაძვირდა, დურგალის ფასი მანეთიდგან მანეთ-ნახევრამდეა, კალატოზისა და მლებრისა ორ მანეთამდე. უბრალო მუშის ფასი-კი ათ შაურიდგან სამ აბაზამდეა.

*** ჩვენ შევიტყეთ, როთ ბათუმს ბ-ნი ა. მახარაძის სტამბაში იბეჭდება ახალი ქართული წიგნი ე. ჯანდიერისა «ვაზი და იმისი მოვლა», რომელიც მალე გამოვა გასასყიდად.

*** ფოთი: წარსულს 31-ს აგვისტოს აქ კინალამ უბედურება არ დატრიალდა მ. კ—ვის და ბ. მ—ეს შორის. მ. კ—ვს დიდი ხანია ფული მართებია ბ. მე—სი. ხსენებულს დღეს მივიდა მ—ე კ—ვთან და უთხრა: ხანი და დრო გავიდა და აწი მაინც მომეცი ჩემი ფულიო; თუ სარგებელს არ მაძლევ, თავნი ფული მაინც გადამიხადეო. მ. კ—ნმა, როგორც ამბობენ, ლანძღვა დაუწყო მ—ეს და ხელიც წაჰკრა. გაბოროტებულმა მ—ემ იშიშვლა დამბაჩა, ესროლა და მოარტყა ფეხში. მერმე მ—ე წავიდა და პოლიციას შეატყობინა. დამნაშავე შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

*** ბათუმი: დღეს, 2 სექტემბერს, დანიშნულებისამებრ, პოლიციის დარბაზში შესდგა არჩევანი პირველის რიგის ხმოსანთა. სულ მოვიდა თორმეტი ამომრჩეველი. დასახელებული იყო 35 კანდიდატი. ამათგან აირჩიეს მხოლოდ შვიდი. შემდეგ არჩევანში ხელ-ახლად ჩააყენეს ათი კაცი, რომლებმაც წინად მიიღეს მეტი თეთრი კენჭი; ამათგან ხუთი აირჩიეს. ამ რიგად პირველის რიგის ხმოსნებად არჩეულ იქმნენ: ალექსი კაიანტერი 9—2), ვასილი კოვალევი (9—2), ნიკოლოზ პასსეკი (7—5), კაზიმარ ხვეერინი (7—5), არტურ ციმმერმანი (10—1), სერგეი შიპოვი (8—3), ივან ერგარდცი (7—5), სტანისლავ ზროდლოვსკი (8—), ალექსანდრე ვანშეიდე (6—), ივანე მამულაშვილი (6—), ბორის რონესი (6—), მარკ ცეიტლინი (6—).

*** სოფ. ჭოპორტიდგან გვწერენ: გაგონილი მქონდა, რომ თამარ მეფეს მდ. არაგვიდამ გამოეყვანოს რუ საგურამოს ველისა და ავჭალა-დიდუბის მინდვრების სარწყავად. მარიამობის თთვეში რამდენსამე კაცს მოგვიხდა იმ ადგილების დათვალიერება, სადაც რუ ყოფილა გაყვანილი. რუ იწყება ჟინვანიდამ და მთის ფერდობებზე მოდის ჭოპორტის თავ-თავ, გადმოდის ბიწმენდს და იქიდგან ზაქარადგან გადადის ავჭალასა და ტფილისისაკენ. კალაპოტი ამ ფრიად შესანიშნავის არხისა ზოგან ისე მშვენივრად დაცულა, რომ ურემი მშვიდობიანად გაივლის.

ამ რამდენისამე წლის წინად ერთმა ფშაველმა სოფ. ნატახტარზე იმავე არაგვიდამ გაიყვანა კარგა მოზრდილი რუ ისეთს ალაგებზე, სადაც გამოცდილ ინჟინერებსაც იმედი არა ჰქონდათ, რომ წყალი გაივლისო. წინად ნატახტარი ერთი გახრიოკებული, უწყლობისაგან გადამწვარ-გადაბუგული სოფელი იყო. ეხლა-კი მშვენიერი ვენახები არტყია გარშემო, მრავალი ფრთოსანი და საქონელი გაუჩენია და ზაფხულის სიცხეც ისე აღარ არის ხაშმიანი, როგორც წინად. ამ შრომისათვის ხსენებულმა ფშაველმა ნატახტარელებს გამოართვა სულ 800—900 მანათი.

იგივე ფშაველი საგურამოს ველის მცხოვრებლებს სთხოვდა 2,000 მან. და ჰპირდებოდა თამარის რუზედაც წყლის გამოყვანას. ხალხიც უარს არ იყო, მაგრამ ფშაველს ღმერთმა აღარ დააცალა შეესრულებინა ეს საშვილიშვილო საქმე და გარდაიცვალა. ხალხი ეხლაც მზად არის იმუშაოს ამ არხზე და განაახლოს ძველი რუ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, აქაც, როგორც ყველა კეთილს საქმეში, უთაურობა ხელს უცარავს და ფრიად საჭირო საქმე შეუსრულებელი რჩება!

*** ხაშური (რკინის გზის სადგური): 3-ს სექტემბერს რკინის გზაზედ ერთი არა-ჩვეულებრივი ამბავი მოხდა, რომელმაც საკმაოდ შეგვაშინა პასაჟირები. ჩვეულებისამებრ მატარებელი (№ 2) დაიძრა სადგურიდგან და გაიარა თუ არა რამდენიმე საჟენი, ისევე გაჩერდა. ვაგონებში ასტყდა ერთი ალიაქოთი და ვაი-ვაგლახი. პასაჟირები უცბად გამოვვიდით ვაგონებიდგან: გვეგონა, ვინმე გაჭყლიტა მატარებელმა, ან გადავარდა ვაგონიდგანაო. აღმოჩნდა, რომ ბ-ნს მმართველს რკინის გზისას სადღაც სადგურზე ვაგონში ჩემოდანი დავიწყებოდა. მმართველი რკინის გზის მოსამსახურეთ უჯავრდებოდა, რატომ ჩემოდანს თვალი არ ადევნეთო. ამ ლაპარაკსა და დავიდარაბაში მატარებელი გაჩერებული იყო სრული 14 წუთი. რასაკვირველია, ეს ამბავი პასაჟირებს არაფრად მოეწონათ და არც მოსაწონი არის.

*** ღამე, 5-ს სექტემბერს, პირველის განყოფილების პოლიციის ბოქაულმა სვიმონოვმა შეიპყრო სოღნალის მაზრის მცხოვრები ნიკოლოზ ოჰანეზოვი (ნონიაშვილი). ეს ოჰანეზოვი ამხანაგია გავარდნილის ავაზაკის მიხეილ კირაკოზოვისა (გულაკოვი). ოჰანეზოვს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც საპყრობილიდგან გამოუშვიათ, რამდენიმე დანაშაული ჰბრალდება.

*** 4-ს სექტემბერს, პირველს განყოფილებაში, ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა ორი ყმაწვილი: ვლადიმერ გავრიელოვი, ექვსის წლისა, და თევდორე კირიჩენკო, ცხრა წლისა. ძაღლი მოუკლავთ და ყმაწვილები საავადმყოფოში გაუგზავნიათ.

*** მეექვსე განყოფილებაში, 5-ს სექტემბერს, ტფილისის მოქალაქე სანდრო ჩიხაშიძე წასჩხუბებია ტფილისის მოქალაქეს ივანე ბალდასაროვს. ჩიხაშიძეს დანით დაუჭრია ბალდასაროვი. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინეს და გამოძიება სწარმოებს.

◆◆

## სასამართლოს მატიანე

### ქ-ნ ნიკიფოროვის საქმე

(დასასრული *)

ბრალმდებელმა გაათავა თუ არა თავისი სიტყვა, დაიწყო დამცველმა ბ-ნმა ჩემესოვმა და ფეხ-და ფეხ მიჰყვა ყველა ბრალს, დასახელებულს ბ-ნის ჩაიკოვსკის მიერ. სთქვა, რომ ეს საქმე ძალიან ბნელი საქმეა, მხოლოდ დღეს დილით გადაეხადა ცოტა ფარდა, მხოლოდ ცოტა და ამიტომ სხვა მხარეს უნდა მივმართო, მეცნიერების საშუალებით უნდა განვანათლო ეს სიბნელეო. მარტო ის არის ცხადი და მარტო იმაში ვეთანხმებით ჩვენ ერთმანეთს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ქ-ნ ნიკიფოროვისას დამბაჩა ეჭირა ხელში. სხვა არაფერი საბუთი არა აქვს ბრალმდებელს სთქვას, რომ ვითომ ნიკიფოროვისას განძრახ ჩაედინოს ეს მკვლელობა.

ვსთქვათ, რომ ნიკიფოროვისა სრულს გონებაზედ იყო და არც სულით ავადმყოფი, როცა ეს საქმე ჩაიდინა, ძალიან კარგი, მაგრამ შესაძლებელია-კი ასეთი დასკვნა. რად უნდა მოეკლა ის კაცი, რომელიც უყვარდა, და ამას-კი ხომ არავინ უარჰყოფს? შეიძლებოდა შეცდომით მომხდარიყო ეს მკვლელობა, გაუფრთხილებლობით, ან სხვა რაისამე საბაბით, ხოლო უსაბაბოდ ასეთი საქციელი-კი ყოვლად შეუძლებელია.

ბ-ნმა ბრალმდებელმა სთქვა, რომ პეკარსკის არ უყვარდა ნიკიფოროვისაო. თუ გინდა არც-კი ჰყვარებოდა, მაინც ქალი რად მოჰკლავდა, ხომ უყვარდა? და რომ უყვარდა-კი, ვიმეორებ, ეს ეჭვს გარეშეა, რადგან ანებებს ფულიანსა და შეძლებულს კაცს თავს, ფუფუნებით ცხოვრებას პეტერბურგისას, მოდის აქ ტფილისში და პეკარსკის უნდა მერეში გაჰყვეს, რომ იქ პეკარსკის ჯამაგირით—ხუთის თუმნით ღარიბად იცხოვროს; განა აქედგან ისა სჩანს, რომ თავის ნებიერების, ფულის მოხვეჭის მეტი დარდი არა ჰქონდაო? ეს თავ-მოყვარეობა-კი არა, სიყვარულია და სიყვარული ღრმა, მტკიცე. ყველაფერი ამტკიცებს, რომ ნიკიფოროვისას ჰყვარებია პეკარსკი, ერთს დღეს უიმისოდ ვერა სძლებს; თვითონ პეკარსკიც დღესა და ღამეს იმასთან ატარებს, აქეთ-იქით მიწერილს წერილებში აღიარებს, რომ პირველი სიყვარულია ჩემ მიერ ნიკიფოროვის სიყვარულიო. არაფერი საბუთი არა გვაქვს არ ვერწმუნოთ ამ სიტყვებს ყმაწვილის კაცისას და თუ ასეა, მაშ ძალიანა ჰყვარებია და არც გული ასცრუებია: პირველი სიყვარული თუმცა ჩქარა აღებეჭდება კაცსა, ბატონებო, ხოლო ჩქარავე ვერ განქარდება და როგორ შეიძლებოდა, რომ პეკარსკის თავის მიერ პირველად შეყვარებული ქალი ორის წლის განმავლობაში შეეძულებინა.

ან თითონ უსიამოვნება რაზე დაეწყოთ სახლში, თუ არ იმისთვის, რომ პეკარსკიმ სახლში დაბრუნებისას უთხრა: „კარგს იზამდით, რომ ყველასთან კოცნა-ალერსი არ იცოდეთ ხოლმეო“. ეს რა არის, თუ არ იეჭვიანობა შეყვარებულის კაცისა. თუ არ უყვარდა, რაღას დასდევდა ვისა ჰკოცნიდა და ვის ეალერსებოდა ნიკიფოროვისა. ამას გარდა ნიკიფოროვისამ ჩამოსვლისას 15,000 მ. მეტი ფული ჩამოიტანა და ამ ფულით სცხოვრებდნენ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ დღე ყოველ და ღამ ყოველ ერთად ატარებდნენ ლხინსა და სიამოვნებაში. რა ფულებით, თუ არა ნიკიფოროვის მიერ ჩამოტანილით? იგი სარგებლობდა ქალის ფულით და არც საკვირველია, რადგან ორ შეყვარებულ ადამიანთა შორის ანგარიშს ვინ გამოუდგება, რომ აი ერთი აბაზი მე მივეცი იქა და ერთი გროში შენ დაჰხარჯე მეტიო. არ შეეძლო არა ჰყვარებოდა, რადგან პატიოსანი კაცი არ ისარგებლებს ქალის ფულით, მერე იმ გვარად მოგებულის ფულით, როგორც ნიკიფოროვისასა ჰქონდა—საყვარლისაგან აღებულით, და რომ პეკარსკი პატიოსანი კაცი იყო, თქმა არ უნდა. იგი ართმევდა ფულს და ჰხარჯავდა, თითქო თავისის ჯიბიდ-

*) იხ. „ივერია“ № 186.

---

იმათი ნაამბობი, მაგრამ გული-კი ეუბნებოდა მაინცა და მაინც დაიჯერეო. ასწონ-დასწონა ყოველივე გარემოება ამ ჩვენებისა და დარწმუნდა, რომ ის ლანდი უთუოდ მამის მისის სული იყო; იფიქრა: უთუოდ საიქიოდამ მოსულა დიდის რამ საიდუმლოების შესატყობინებლად, მაგრამ როგორ მოვახერხოო ნახვაო. იფიქრა, იფიქრა და ერთბაშად გარდასწყვიტა: ამავე ღამეს დავსდგები დარაჯ-გუშაგებთან და მოვუცდი მოჩვენების გამოცხადებასაო. დაღამებისთანავე აირჩია თვისი სადარაჯო ალაგი ჰორაციო და მარცელოსთან ერთად იმ მოედანზე, სადაც მოჩვენება ეცხადებოდათ ხოლმე გუშაგებს.

ის-ის იყო გუშაგნი ღამის სინესტესიცივეზე ლაპარაკის ატეხას აპირებდნენ და ჰორაციომაც წამოიძახა: აი, მოჩვენება, მოჩვენებაო!! დაინახა თუ არა მამის აჩრდილი, ჰამლეტი შიშისა და განცვიფრების გამო სრულიად გაშტერდა, რადგანაც ჯერ დაჭეშმარიტებით არ იცოდა, კეთილი იყო თუ ბოროტი იგი სული, ან რა განზრახვით იყო მოვლენილი. შემკრთალი და გაფითრებული ჰამლეტი ანგელოზებსა და ზეციერთ სულთა ევედრებოდა და ავედრებდა მასთან მდგომთაც, ზეცასა სთხოვდა მფარველობას. მაგრამ მალე მოეგო გონს, თანდათან მოემატა გაბედულება: შეამჩნია ვითომ, რომ ეგ მამის აჩრდილია, რაღაც თანაგრძნობით ეპყრობა და თითქო ლაპარაკსაც აპირებს ჩემთანაო. ახლა ამ მოჩვენებაში იმან ვერაფერი საშიშარი, ვერაფერი უცხო და საკვირველი, საიქიოდამ მოვლენილი ვერ შეამჩნია და ამიტომ გამოლაპარაკებაც ადვილად გაუბედა: პირდაპირ მამის სახელი „ჰამლეტი“ უწოდა, უხმო მეფედ და მამად. ფიცითა სთხოვა: გაუმხილე შენს საყვარელს შვილს, რამ გაიძულა, რომ დაგიტოვებია საიქიო, რისთვის მოვლინებულხარ მთვარის შუქზე ამ ქვეყნად ქვეყნიერთა მცხოვრებთა შორის. გულ-მხურვალედა გთხოვ, მარქვ, თუ რამე გაჭირება და მწუხარება გადგას, რათა მოგეშველო ჩემს ბატონს, საყვარელს მამასაო.

აჩრდილმა მოუსმინა და გვერდზე თავი გაიქნია იმის ნიშნად, რათა ორნივე განშორებოდნენ იმ ადგილს და სადმე მიყარდნილს ყურეს შეყრილიყვნენ საიდუმლოდ მოსალაპარაკებლად. ჰორაციო და მარცელო სთხოვდნენ პრინცსა: აჩრდილს ნუ გაჰყვებიო. ისინი ჰფიქრობდნენ, თუ აჩრდილი მავნე სულია, აიტყუებს ახალგაზდა პრინცს ციცაბო კლდის წვერზე, რომელიც იქვე მახლობელის ტბის ნაპირზე აყუდებული იყო, იქ რაღაც საშიშროებად მოეჩვენება, რის გამოც შესაძლებელია ახალგაზდა კაცს ტვინი შეერყეს და ძარღვები დაუსუსტდესო. იმათმა რჩევამ ვერ შეარყია ჰამლეტის გარდაწყვეტილება, იმ ჰამლეტისა, რომელსაც ახლა სიცოცხლე ჩალად მიაჩნდა. იმასა სწამდა სულის უკვდავება. «ეგ აჩრდილი თუ საიქიოდამ მოვლინებულია, უთუოდ მამიჩემის სულიაო», სთქვა ჰამლეტმა, განშორდა თავისს ამხანაგებს და გარდასწყვიტა: „სადაც უნდა წავიდეს, იქ გავყვები ამ აჩრდილსაო“.

გაჰყვა ჰამლეტი აჩრდილს. მივიდნენ ერთს მიყარდნილს ადგილს. პირველად დუმილი თვით აჩრდილმა დაარღვია: „მე მამიშენის სული ვარო, სთქვა იმან: გიამბობ იმ საზიზღარს მკვლელობას, რომელიც კლავდიუსმა ჩაიდინა იმ აზრით, რომ ტახტი ჩამოერთმია, საყვარელი მეუღლე გულიდამ მოეგლიჯა და ჩემი შეუბღალავი სარეცელი შეეგინებიაო“. მერე მოჰყვა მკვლელობის გარემოებას დაწვრილებით: „იმ დროსო, სთქვა აჩრდილმა,—როცა, ჩვეულებისამებრ, მამაშენი ბაღში იწვა, ნასადილევს, მიეპარა კლავდიუსი, ჩააწვეთა ყურში ლენცოფას წვენი, რომელიც თვალის წამს დაჰშხამავს ხოლმე სისხლს, კანს დაუწყლულებს და მოულოდნელად სულს ამოახდენს ადამიანსო. ამ გვარად გამოათხოვა წუთი-სოფელს ბიძაშენმა შენი საყვარელი მამა, წაართვა ღვთისაგან მინიჭებული სიცოცხლე, მეუღლე და სამეფო გვირგვინიო. აი, ახლა გთხოვს მამაშენი, თუ ოდნად მაინც შეგრჩენია იმისი სიყვარული, გარდაუხადე სამაგიერო ასეთის ბიწიერის მკვლელობისათვის“. ამასთანავე აჩრდილმა დიდი საყვედური სთქვა დედოფლისა: „დედოფალი ასცდა ჭეშმარიტს გზას, როცა გაჰყვა ცოლად თავისს საყვარელ ქმრის მკვლელსაო, მაგრამ გთხოვ სამაგიერო ბიძას გადაუხადე მხოლოდ, დედას-კი ნურაფერს შეურაცხებას ნუ ჰკადრებო. იმას თვით განგება დასჯის, იმას იგიც ეყოფა სამაგიეროდ, რომ სინიდისი მუდამ მოუსვენებელი ექმნებაო“. ჰამლეტმა ყოველივე ეს მოუ მინააჩრდილს და აღთქმა მისცა: შენს თხოვნასა და ბძანებას უკლებლად აღვასრულებო. იმ წამსვე აჩრდილი განეშორა.

მოსცილდა თუ არა აჩრდილი, ჰამლეტმა ნატვრა დაიწყო: „განგებავ, დამავიწყე ყველაფერი, რაც მისწავლია და რაც ჩემს სიცოცხლეში მინახავს, ან გამიგონია; ზეცავ, მთელი ჩემი გული და გონება მიაპყარ მამიჩემის თხოვნის აღსრულებას“. მუდამ ასეთის საყვედრებელ სიტყვებით შესტიროდა ზეცას ჰამლეტი. აჩრდილის მიერ ნათქვამი საიდუმლო-კი მხოლოდ თავისს უმახლობელესს მეგობარს ჰორაციოს გაანდო.

იმ ღამის საშიშროებამ და თან იმ ტანჯვამ, რომელსაც იგი ითმენდა ამდენის ხნის განმავლობაში, ერთბაშად შეიპყრა ახალგაზდა პრინცი; ჰამლეტი მეტად დანაღვლიანდა და რაღაც ჭკუა შეშლილს დაემსგავსა. თვითონაც ჭკუა შეშლილად იჩენდა თავს იმ განზრახვით, რომ მეფესა და კარის კაცებს არ გაეგოთ ნამდვილი მიზეზი იმისის აღრეულობისა. „თუო, ჰფიქრობდა ჰამლეტი: ბიძაჩემი ეჭვს აიღებს, ვითომც მე გაგებული მაქვს იმისი ბოროტ-მოქმედება, ჩემი შურისძიებისა მაინც არ შეეშინდება, რადგანაც შეშლილი ვეგონები, თავს და-

გან იყოსო, და არ გამოართმევდა-კი, რომ იმასთან ხანგრძლივი კავშირი არა სდომებოდა. პირ-იქით, მე ვამტკიცებ, რომ შეუკავშირდებოდა კიდეც, და თუ ასე არ მოხდა, იმიტომ-რომ ნიკიფოროვისა ქმრიანი ქალი იყო, ქმართან გაყრილი და ქმარი ცოცხალი ჰყავდა.

ამბობენ, რომ ნიკიფოროვისამ პეკარსკის თავი მოაბეზრა, იმისის წრის ქალი არ იყო და ყოვლად შეუძლებელია იმათი სულითა და გულით ერთმანეთთან მჭიდრო კავშირიო. თუ უყვარდა, რატომ არ უნდა შესძლებოდა ასეთი კავშირი? თუ განათლებაზე ამბობენ, არა მგონია პორუჩიკი პეკარსკი მართლაც-და ისეთი განათლებული ყოფილიყოს. ამის თქმის საბუთს მაძლევს ის ამხანაგობა, რომელშიაც იგი ტრიალებდა. გარწმუნებთ, რომ იმათ შორის ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელიც ნიკიფოროვისაზე საკმაოდ დაბლა სდგას განათლებითა და განვითარებით.

საყვედური სთქვეს აგრეთვე იმისს შესახებაც, რომ ნიკიფოროვისა სხვასთან სცხოვრებდა და ამავე დროს-კი პეკარსკისთანა ჰქონდა კავშირიო. რა ვუყოთ მერე? ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ქმრიანს ქალებს საყვარლები ჰყავსთ, უყვარსთ ეს საყვარლები, მაგრამ მაინც კიდევ ქმართანა სცხოვრებენ საზრდოს გულისათვის. ამ შემთხვევაშიაც ესეა. აკი როცა ფული იშოვნა, მაშინვე ჩამოვიდა და თავის მიერ შეყვარებულს კაცს აღარ მოშორებია. ამიტომ ნიკიფოროვისას ვერ ვუსაყვედურებთ, რომ ბევრს სხვასთან რაღაცა სცხოვრებდიო.

ან საიდგან დაასკვნეს, ვითომ პეკარსკის არა ჰყვარებოდეს ქალი? იქიდგან, რომ შინ მისვლისას უთხრა: «კარგს იზამდი, რომ ყველასთან კოცნა ალერსი არა გქონოდაო». უთხრა ცოტა შემდეგ აგრეთვე, რომ სხვა ქალს ვიშოვნი საყვარლადაო. რა არის მერე? ეს უბრალო სიტყვებია უარით განაწყენებულის კაცისა, დაუკმაყოფილებელის სურვილით გამოწვეული, და სხვა არა-რა. განა ამისთანა უბრალო სიტყვებისათვის ნიკიფოროვისა, რომელიც, კერპად ჰრაცხდა პეკარსკის, შესაძლებელია მოეკლა თავის მიერ დიდად შეყვარებული კაცი? აბა ერთი მაგალითი დამისახელეთ, რომ ასე უბრალოდ სადმე კაცის კვლა მომხდარიყოს? იშვიათად მოჰხდება ხოლმე, რომ ქმარი თავისს საყვარელს ცოლსა ჰკლავს, ისიც მაშინ, როცა ცოლთან უეცრად მიასწრებს ვისმე, რადგან დიდი სიყვარული უეცრად დიდს სიძულილს გამოიწვევს.

მაშ რად მოჰკლა? თუ ლოგიკურად არ აიხსნება ეს საოცარი კვლა, მაშინ ულოგიკობაში უნდა ვეძებოთ ახსნა; გონიერი ადამიანი თუ არ შეიძლებს ასეთის დანაშაულის ჩადენას, მაშ რა ნაირი ადამიანი უნდა იყოს ის, ვინც ჩაიდინა?

ამ მხრივ ყველა დიდს საბუთს გვაძლევს, რომ ნიკიფოროვისა ჭკუათა მყოფელი ადამიანი არა ყოფილა. მოიგონეთ ბრალდებულის სიყმაწვილე, სიტყვები გამოჩენილის ფსიხიატრის პროფესორ მერჟეევსკისა, რომელიც ყველაზე საუკეთესო ექიმია სულით ავადმყოფობისა, მრევლოვის ჩვენება, ჩვენებავე ექსპერტის პაელოვსკისა, ქმრისა და მშობლების წერილები. გაიხსენეთ ყველა ეს და თვალ-ნათლივ წარმოგიდგებათ ის ადამიანი, რომელმაც ზემოხსენებული დანაშაული ჩაიდინა.

ბ-ნი ბრალმდებელი ბრძანებს, რომ იულიუს ცეზარი, ნაპოლეონი და სხვანიც სულით ავადმყოფები იყვნენ, მაგრამ იმდენი დიდებული საქმეები კი მოიმოქმედესო. ნუ თუ ბ-ნს ბრალმდებელსა ჰგონია, რომ ცეზარმა ეპილეპსიის მოვლის დროს გადაიარა რუბიკონი? არა, დიდებული საქმეები მაშინ ჩაიდინეს ამ დიდებულთ, როცა გონება გამოუნათლდებოდათ ხოლმე, ისე კი დარაჯები ედგათ, მომვლელები ჰყავდათ და სენით შეპყრობის დროს იმათაც თვალ-ყურს ადევნებდნენ.

ამ გვარად აშკარაა, რომ ნიკიფოროვისა სულით ავადმყოფია და, როგორც პაელოვსკიმაც აღიარა, ჩამომავლობით მოსდგამს ეს სენი. ავადმყოფობას იმ შავ და უკუღმა ღამეს დაჰმატებია ისიც, რომ სადილ-ვახშამზედ ბევრი უსვამთ. თითონ მიხაილოვიც ამბობს, რომ ღვინო ერთგვარად ესვით ყველამაო. ვიცით აგრეთვე ისიც, რომ პეკარსკის ისე მოჰკიდებია, რომ პირიდგან უსაქმებია კიდეც. რაღა თქმა უნდა, ნიკიფოროვისაც ბევრს დალევდა და ნასვამი იქნებოდა ღვინით და ღვინო ხომ საწამლავია განსაკუთრებით იმისთანა სულით ავადმყოფ ადამიანისთვის, როგორიც ბრალდებულია.

აქ ბ-ნი ჩემესოვი 11 აპრილის ღამეზედ გადავიდა, თავისებურად ახსნა დანაშაულის ჩადენის გარემოებანი და ნიკიფოროვის მიერ ჩადენილი სენით შეპყრობის დროს ჩადენილ დანაშაულობად აღიარა. შემდეგ ითხოვა, რომ მოსამართლეთ, ყველა ზემოხსენებულ საბუთების ძალით, ნიკიფოროვისა სულით ავადმყოფად ეცნოთ და გაემართლებინათ.

ამაზე დაიშალა სასამართლო და საქმე ორშაბათისათვის გადაიდო.

ორშაბათს ბრალმდებელმა კვლავ სიტყვა წარმოსთქვა და სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შეიძლება ნიკიფოროვისა სულით ავადმყოფი იყოს, მაგრამ იმ ღამეს-კი ამ სენისა არაფერი ნიშანი ემჩნევაო. დამცველმა პასუხი უფრო მოკლედ და სცდილობდა უარ-ეყო ბრალმდებელის სიტყვები. ამ ორთა ხელ-მეორედ ნალაპარაკევს აღარ მოვიყვანთ, რადგან ახალი არარა თქმულა-რა და ორივენი თითქმის წინად წარმოთქმულ სიტყვების დამტკიცებასა სცდილობდნენ. შემდეგ სასამართლო გავიდა და განაჩენიც დაადგინა, რომელიც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან.

## უცხოეთი

**ინგლისი.** მოგვყავს რამდენიმე ალაგი გლადსტონის სიტყვისა, რომელიც ამ ახლო ხანებში წარმოსთქვა იმან ველისში:

„გუშინაო, სთქვა ლიბერალების თავმა კაცმა,—დიდი პატივისცემა და თავაზა გამიწიეს. გაზეთმა „ტაიმსმა“ (ისმის ხალხში „ტაიმსის“ ხსენებაზე უკმაყოფილება), გაზეთმა „ტაიმსმა“, რომელიც მოთავეა ჩვენის აზრების მოწინააღმდეგეთა, დიდად დამავალა და დიდი თავაზაც გამიწია. ამ გაზეთს გაუგონია, რომ მე დღეს აქ უნდა სიტყვა წარმოვსთქვა და ამის გამო ვრცელი წერილი დაჰბეჭდა. ამ წერილს ჰნახავთ თქვენ „ტაიმსის“ გუშინდელს ნომერში, თუ გაირჯებით და წაიკითხავთ („ჩვენ მაგისთანა გაზეთს არა ვკითხულობთ!“). ძალიან კარგი, მაგრამ ეხლა მაინც წაიკითხეთ ერთხელ, (ხალხი იცინის), ვრცელი წერილი დაბეჭდა იმ სიტყვის პასუხად, რომელიც ჯერ არ წარმომითქვამს და რომელიც მხოლოდ ეხლა უნდა წარმოვსთქვა! ღვთის წინაშე, ეს დიდი პატივის ცემა და თავაზაა, ისეთი თავაზა და პატივისცემა, რომელსაც არა ჰღირსებია, ვგონებ, არც ერთი ჩემისთანა კაცი. რაიცა შეეხება იმ ვრცელს წერილს, აბა, რაღა თქმა უნდა, იმიტომ დაუწერიათ, რომ ჩირქი მომცხონ და ლაფი დამასხან თავზე. ეგ იმათი საქმეა და სრული ნებაცა აქვსთ, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ. მე-კი, როგორც საზოგადოების მოღვაწე, მუდამ ამას ვამბობდი და მუდამ ამას ვიტყვი, რომ ტაშის კვრა და ქებათ-ქებანი მეგობრებისა ისე სასარგებლო არ არის მოღვაწესათვის, როგორც კიცხვა და ლანძღვა მტრებისა (ისმის ტაშის კვრა).

შემდეგ გლადსტონმა დაიწყო ლაპარაკი ირლანდიელ დეპუტატების დაპატიმრების შესახებ, შეადარა იმათი ყოფა და საპოლიტიკო დამნაშავეთა მდგომარეობა ნეაპოლის სამეფოში ამ ორმოცის წლის წინად და დაასკვნა, რომ სალისბერის სამინისტრო უფრო ულმობლად ექცევა დაპატიმრებულს ირლანდიელს დეპუტატებს, ვიდრე ნეაპოლის სამეფოს მინისტრებიო. გლადსტონმა დაასრულა აქ ამბავი დეპუტატის მანდევილისა, რომელიც საპატიმროში გარდაიცვალა ამ ერთის თუ ორის თვეის წინად ციხეთა ზედამხედველების ულმობლობის წყალობით.

„მერე ახლა, რა შედეგი მოსდევს ასეთს საქციელსაო? განაგრძო გლადსტონმა: ესეთს სასტიკს ქცევას ის მოსდევს, რომ ყველა თანაგრძნობით იხსენიებს იმათ, ვინც ამ სასტიკობის მსხვერპლი შეიქმნა. ბარე ათჯერ შემოადგა ჩვენს ეტლს ხალხი, ვიდრე რკინის გზის სადგურიდამ აქამდე მოვიდოდით და ჰყვიროდა იმ ჯენტლმენების სახელებს, რომელნიც ეხლა ირლანდიის ციხეებში არიან დამწყვდეულნი. ჰყვიროდა და თან ტაშსა სცემდა იმათ პატივის საცემლად. მერე სად არის ასეთი ამბავი? სადა და ველისში. განა ველისელები პატივს არა სცემენ კანონს? ყველამ იცის, რომ ველისში ბევრად ნაკლებია დანაშაულობა, ვიდრე სხვაგან სადმე ჩვენს ქვეყანაში. და აი სწორედ იქ, სადაც ასე პატივსა სცემენ კანონიერებას, იქ დღევანდელ სამინისტროს ქცევა აყვარებს ხალხს წესიერების დამრღვეველებსა (ისმის ტაშის კვრა). მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ბატონებო. რა ამბავია ახლა ირლანდიაში? ირლანდიის ერი მზა არის ძმობა გაგვიწიოს, კვლავ გვიძმოს, ძმურად დაგვეკავშირდეს. მზად არის იმიტომ, რომ ლიბერალთა დასი სათნოებით ექცევა. ხოლო რაიცა შეეხება დუბლინის სახლეს, ესე იგი იქაურს ადმინისტრაციას, იმათ მოქმედების დიდი და დიდი წინააღმდეგია ირლანდიის ერი... უნდა გვახსოვდეს ირლანდიელთ ორი გზა ედოთ წინა. ერთი გზა ის იყო, რომ თავიანთი სურვილი პარლამენტში ლაპარაკითა და ქადაგებით აესრულებინათ, მეორე გზა იყო გზა ძალადობისა, წინააღმდეგობისა. ო'კონელი დიდხანს ეცადა, რომ ერი შეემაგრებინა. ახერხებდა კიდეც ამას, ვიდრე ცოცხალი იყო, ხოლო როცა ო'კონელი გარდაიცვალა, დაიბადა ის აზრიცა, რომ იმისმა შრომამ და მშვიდობიანობის ქადაგებამ ერს სიკეთე არა მოუტანა-რაო, მაშინ სულ სხვა მოხდა. განა ერი ჩაჩუმდა და დაწყნარდა? არა, ადგა და ფენიანიზმს მიემხრო, იმ ფენიანიზმს, რომელიც ძალადობით ეძებს სიკეთეს ერისათვის. რამდენი ათასი შემთხვევა იყო, ო'კონელის სიკვდილს შემდეგ, რომ ერი ემზადებოდა აჯანყებულიყო და სისხლით მოერწყო ქვეყანა. ეს შიში დღესაც არ გამქრალა, მაგრამ ჩვენ ვიღწვით, ბატონებო, ვიღწვით,

---

მანებებს და ჩემს საქციელს არაფრად ჩააგდებსო“. სთქვა და აღასრულა. მეორე დღიდამვე თავი მოისულელა და ისე მოხერხებულადაც მოიგონა სისულელე, რომ ყველას შეამჩნევინა: დარწმუნდნენ, უთუოდ გაგიჟდაო. სიგიჟე ეტყობოდა ლაპარაკში, ჩაცმა-დახურვაში და ყოველსავე საქციელში. ბევრს ჰკიქრობდნენ, მაგრამ ნამდვილს მიზეზს იმისის ასეთის ცვლილებისას ვერავინ მიხვედრილიყო. მეფე-დედოფალმა არ იცოდნენ, თუ ჰამლეტს აჩრდილი გამოეცხადა და სულ სხვას აბრალებდნენ ჰამლეტის შეშლილობას: იმისი ნირის შეცვლა უთუოდ ქალის სიყვარულიაო. ეს აზრი საეჭვოდ აღარ მიაჩნდათ.

მართლაც ჰამლეტს, მამის გარდაცვალებამდე, როცა იმას გულ-გონების სიმშვიდის მეტი არა გამოეცადა-რა, აი, ამ ბედნიერს დროს ჰამლეტს გატაცებით უყვარდა მშვენიერი არსება ოფელია, ქალი პოლონიოსი, რომელიც მეფის პირველი ვეზირი და მესაიდუმლე იყო. ჰამლეტი ძლიერ დაახლოვებული იყო ოფელიასთან, სწერდა წერილებს, ბეჭედიც უძღვნა და ბოლოს ცოლობაცა სთხოვა. ოფელიას ჰამლეტი კეთილშობილ კაცად მიაჩნდა, სჯეროდა იმისი ფიცი, აღთქმა და გულ-წრფელი სიყვარული; მაგრამ იმას აქედ, რაც ჰამლეტის აჩრდილი ნახა, იმათ შორის დამოკიდებულება შეიცვალა. ჰამლეტი საცოლეს ადრინდებულად ყურს აღარ უგდებდა. ოფელია ამას ჯერ არაფრად იმჩნევდა: „ჰამლეტის ასეთი დროებითი გულ-გრილობა უთუოდ ავადმყოფობის მიზეზიაო“, იტყოდა ხოლმე ოფელია და ხანდახან ასეთს შედარებას მოიყვანდა ხოლმე თავის სანუგეშოდ: „ჰამლეტის კეთილი სული ისეთს ზარსა ჰგავს, რომელსაც თავის თავად მეტად სასიამოვნო ხმა აქვს, მაგრამ უწვრთნელის ხელით თუ დარეკე, უსიამოვნო ხმასა სცემსო“.

თუმცა ჰამლეტის გულ-გონება მამის მკვლელის შურით იყო სავსე, თუმცა-ღა მთელი იმისი არსება გარემო საზოგადოების ზიზღით იყო მოცული, მაგრამ იმისს გულის სიღრმეში კიდევ დარჩენილიყო ოფელიას სიყვარული. ერთხელ, როცა სიმშვიდის წამმა გაუქროლა და ტკბილი გრძნობანი განუახლდა, წარმოიდგინა, რომ იგი თავისს საყვარელს ახალგაზდა ქალს სასტიკად ეპყრობოდა და წერილი მისწერა. ამ წერილში იყო არეულ-დარეული მეტის-მეტის ვნებით გატაცებული სასიყვარულო სიტყვები და განძრახ მოგონილი გიჟური აზრები. თან ამ წერილით უნდოდა დაერწმუნებინა ოფელია, რომ იმისი სიყვარული ჰამლეტს მტკიცედ აქვს დანერგილი და ნურასოდეს ნუ მოელის იმისგან ღალატს. ამ წერილში სხვათა შორის ასეთი აზრები იყო: „ეჭვი არ გაიტარო გულში, ჩემო ძვირფასო ოფელია! მნათობები დაბნელდებიან, დედამიწა მზის გარშემო ვლას შესწყვეტს და მე-კი შენზე გულს ვერაფერი შემაცვლევინებსო; მიწოდე მე მაშინ საზიზღარი, ცრუ, თუ ჩემი სიტყვა არ შევასრულოო“ და სხვანი... მთელი წერილი ამ გვარის საფიცარის სიტყვებით იყო გადაჭრელებული. ოფელიამ ეს ბარათი მამას აჩვენა. პოლონიომ წერილი მეფე-დედოფალს წააკითხა. ახლა ესენი სრულიად დარწმუნდნენ, რომ ჰამლეტის შეშლილობის ერთად-ერთი მიზეზი სწორედ სიყვარულიაო.

დედოფალი ამბობდა, კიდევ მადლობა ღმერთს, თუ ჰამლეტის ავადმყოფობა ოფელიას სიყვარულისაგან წარმოსდგებაო; ოფელია მეტის-მეტად კეთილის გულის ქალია, ძლიერ მოსიყვარულე გული აქვს და უთუოდ თავისის მიმზვიდველის საქციელით ისევ გონს მოაგებს ჩემს შვილსაო.

მაგრამ ჰამლეტის სენი ასე ადვილად განსაკურნებელი არ იყო, როგორც დედოფალი ჰფიქრობდა. იმისს ავადმყოფობას ასეთი წამალი არ მოარჩენდა. ჰამლეტს სტანჯავდა მამის უსამართლო მკვლელობა და არ შეეძლო მოესვენებია, ვიდრე თავისს განზრახვას არ აღისრულებდა, ვიდრე მამის მკვლელის ჭინს არ ამოიყრიდა. მაგრამ აბა როგორ უნდა აღესრულებინა!.. გარს მზვერავები ეხვივნენ და ამის გამო მეფის მოკვლა ძნელი საქმე იყო. ამას გარდა წინ ის გარემოება ეღობებოდა, რომ მეფეს ერთს წამსაც არა სტოვებდა მარტოდ დედოფალი. ჰამლეტი ბევრსა სცდილობდა იმათს დაცალ-ცალკევებას. მაგრამ ვერას გზით ვერ მოახერხა ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ჰამლეტი მეტად გულ-კეთილი კაცი იყო და დედის სიბრალულით მეფის მოკვლაც ენანებოდა. ამ გვარი ორჭობორჭო მდგომარეობაც იმისს გულს მძიმე სევდად დააწვა. ამასთანავე ხშირად ეცხადებოდნენ იმას ციურნი სულნი სიზმრად და ცხადად, აიმედებდნენ, რჩევას აძლევდნენ, მაგრამ ამათის ძლიერების ეჭვიც შეეპარა ახლა გულში. ბოლოს, დიდის ჭოჭმანის შემდეგ, გარდასწყვიტა: მოვიცდი ცოტა ხანს, მოვუცდი მარჯვე დროსაო. ამას გარდა ჯერ კარგად ვერც-კი დარწმუნებულიყო, მართლა გამოეცხადა მამის აჩრდილი, თუ არა; ამის მტკიცე საბუთი იმას ხელთ არა ჰქონდა, ჰფიქრობდა: ვინ იცის, ეგებ იგი აჩრდილი ეშმაკი იყო, რომელსაც შეუძლიან ყოველ გვარის სახით ეჩვენოს კაცსაო და საფიქრებელია, რომ გამომეცხადა მამის სახით, მიპოვა დრო, როცა მწუხარება და სევდა მაწუხებს, და უნდა ცოდვა რამ ჩამადენინოსო. ამ მოსაზრების მიმხედველმა ასე დაასკვნა: მოვიცდი იმ დრომდე, ვიდრე მტკიცე საბუთი არ ჩამივარდება ხელში იმისა, რომ მამა ჩემი სწორედ ბიძის ჩემის ხელით არის მოკლულიო. უამისოდ ძნელი გასაბედავია აჩრდილის ნაამბობის დაჯერება: შეიძლება იმისი ნათქვამი და იმისი მოჩვენება ყველაფერი ეშმაკის მანქანება იყოსო.

სამ. ყიფიანი

(შემდეგი იქნება)

რომ ავაცილოთ ქვეყანას ასეთი უბედურება; ჩვენ უქადაგებთ ირლანდიის ერს მოთმინებას, ვაძლევთ იმედს, რადგან გვგონია, რომ დიდად შემცდარნი არიან. დიდს პასუხის გებაში სცვივიან ისინი, ვინც ირლანდიის ერს არას აძლევს სიბნელისა და მწუხარების მეტსა“.

შემდეგ გლადსტონმა ვალისს მიაქცია ყურადღება და სთქვა, რომ ვალისის სურვილი დაკმაყოფილდება სავსებით მხოლოდ მაშინ, როცა ირლანდიის საქმეს მოვრჩებით. თუმცა ასეა, მაინც ირლანდიელების დღევანდელი ბეჯითობა და ცდილობა ვალისს ზიანს კი არ მისცემს, არამედ მისთვის დიდად სასარგებლო აღმოჩნდება.

„გულ-ახდით მოგახსენებთ, რომ უკეთუ ლიბერალთა სამინისტროს მიერ წარდგენილი წინადადება შეწყნარებულ იყო ისეთის სიმშვიდით, რა სიმშვიდითაც ის წინადადება იყო შედგენილი, და იმისი ბედი სხვაფრივ არ დატრიალებულიყო პარლამენტში, მე მგონია, რომ ვალისისა და შოტლანდიის საქმე ეხლა ბევრად კარგად იქნებოდა. მაგრამ, როგორც იცით, ჩვენს წინადადებას წინააღმდეგნი გაუხდნენ. ყოველივე თავისი გავლენა და ძალა მოიხმარეს მოწინააღმდეგეთა და დაჰლუპეს ჰომრულის საქმე. რა გამოვიდა აქედამ? რა და ის გამოვიდა, რომ ვალისმა და შოტლანდიამ თავის თავზე დაიხედა ახლა და ერი მეტად დაუკვირდა თავისს მდგომარეობას. სცდებიან ისინი, ვინცა ჰფიქრობს, რომ ვალისი შემდეგშიაც იმ მშვიდობიანისა და ყველაფრის მომთმენის ცხვარივით მოიქცევა, როგორც აქამომდე. ვალისიც მოითხოვს, რომ ყურადღება მიაქციონ იმ საგნებს, სადაც მას თავისი საკუთარი ინტერესები აქვს. ამ საგანზე მე შარშანაც ვლაპარაკობდი და აქ აღარას ვიტყვი, გარნა მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ სწორედ იმ დროს, როცა ირლანდიის საქმე გადასწყდება, თქვენ უფრო მტკიცედ მოიკიდებთ ფეხს, ვიდრე მაშინ, თუ ვინიცობაა ირლანდიისათვის წინააღმდეგობა დაეწყოთ. თქვენა და შოტლანდიელები ერის ძმურს კავშირს შეადგენთ და შოტლანდიელები, ხომ იცით, ყოჩაღები არიან; იმათაცა აქვსთ თავიანთი სურვილი. ვალისელები და შოტლანდელები ერთად უფრო ძლიერნი იქნებით, ვიდრე ცალკ-ცალკე. 30 დეპუტატი ვალისისა და 70 შოტლანდიელებისა კარგი ძალაა. ამიტომ ნუ შეგეშინდებათ: დიდი ხანი არ გაივლის, რომ ბრიტანიის პარლამენტი მოგანიჭებთ ყოველსავე, რასაც თქვენ სამართლიანად მოითხოვთ“ (მსმენელთ ხანგრძლივი ტაშის-კვრა ასტეხეს).

## წვრილი ამბები

ბრიტანიის ფოსტათა დირექტორის ანგარიშიდგან სჩანს, რომ ერთის წლის განმავლობაში ბრიტანიის ფოსტას ერთი მილიარდი და ხუთას თორმეტი ათასს ორასი წერილი, 188.800,000 ღია წერილი, 389 500,000 გასაგზავნი ამანათი წიგნებითურთ, 152.300,000 გაზეთი და 36.732,000 ბანდეროლი. ინგლისის ყოველ მცხოვრებზედ ორთა შუა რიცხვით წელიწადში 41 წერილი მოდის, 5 ღია წერილი, 10 ამანათი წიგნებით და 4 გაზეთი. ამოდენა საქმის გასაკეთებლად მარტო ერთს წელიწადს 396 ახალი ფოსტის განყოფილება დაუარსებიათ და ათასამდე კიდევ ფოსტის ყუთი დაუდგამთ.

— სოფელ ზერაკის მამასახლისს, გალიციაში, სამართალში მიუცია ვიღაც კოვალევსკი და იმასა სწამებს თურმე, რომ შენის მისნობით ამ დღეებში სეტყვა მოვიდა და ჭირნახული გააფუჭაო. ზარალის აღსადგენად 1,500 მანეთზედ მეტი ფული უთხოვნია.

— ამერიკის გაზეთებს ადელინა პატტისათვის ახალი რეკლამა მოუგონიათ. ისინი სწერენ, ვითომ შესანიშნავი მომღერალი ქალი სრულიად ავ-გუნებად არის, რადგან რამდენჯერმე მოუნდომეს ძვირფასის ბრილიანტების წართმევა ავაზაკებმა, ერთი ორჯელ თავსაც დასხმიან და კიდევ აპირებენო. ამ გაზეთებისავე სიტყვით, პატტის განუზრახავს კვლავ ამერიკაში წასვლისას ყალბი ბრილიანტები წაიღოს თანა, მაგრამ იქიდგან მოუწერიათ, რომ მაშინ პირობას დაარღვევთ, რადგან ბევრი ქალი მხოლოდ იმიტომ დადის თეატრში, რომ თქვენი მშვენიერი ბრილიანტის სამკაული ჰნახოსო.

— ფრეინბერგიდგან იწერებიან ერთს არა-ჩვეულებრივს ამბავს. ამას წინად იქ ერთს კაცს ყმაწვილი დაჰბადებია და წარსულის თვის 29 ამ ყმაწვილის აკვანთან მოგროვილან ბებია ყმაწვილისა, ბებიის დედა და ბებიის ბებია.

— სენის დეპარტამენტში სცხოვრებს თურმე ხუთი კაცი და შვიდი დედაკაცი, ყველანი ას ოცის წლისანი. გრენობლეში ერთი დედაკაცია ეხლაც, რომელიც 1745 წელს დაბადებულა და, მაშასადამე, ას ორმოც-და-სამის წლისაა.

— ემილ ზოლას 400 მან. შეუწირავს ბალზაკისთვის ძეგლის დასადგმელად. ამ საგნისათვის ამ ჟამად სულ 6964 მანათია თურმე სულ შეკრებილი.

— ვენაში ვიღაც ესკულაპს მუშტრების შოვნა სდომებია და, უნდა ვაღიაროთ, თავისებური საშუალებაც გამოუგონია თავისის სურვილის განსახორციელებლად. მოქმედების ასპარეზად ამოურჩევია ერთი თეატრი, რომელშიაც დიდ-ძალი ხალხი დაიარება თურმე. ამ განზრახვით შედის თუ არა თეატრის დარბაზში, ხმა მაღლად უძახებს თურმე მსახურსა, რომ ამა-და-ამ რიგის სკამზედ ვიჯდებიო; ატყობინებს, რომ, ვინიცობაა ვინმემ მიკითხოს, მაცნობეო. მსახური ადრევე დარიგებული და თანხმობის ნიშნად თავს უკანტურებს. აგერ წარმოდგენა დაიწყო. საზოგადოება სიამოვნებით ისმენს მშვენიერს არიას და ან დუეტს. ამ დროს ექიმთან ფეხ-აჩქარებით მიდის მსახური, იხრება და რაღასაც ჩასჩურჩულებს. ექიმი ერთის აურზაურით სდგება სკამიდგან და ბრახუნით გარედ გასვლას იჩქარის. საზოგადოება, რასაკვირველია, უკმაყოფილოა და წარმოდგენის გათავებისას ეკითხება მსახურს, ვინ არის ეგ ბატონი, რომ ისე უზრდელად იქცევაო? მსახური უპასუხებს, რომ ეგ გამოჩენილი ექიმია და საჩქაროდ იბარებდნენ ვიღაც სულთმობრძავთანაო. ექიმი-კი ამ დროს ქუჩაში დასეირნობს თურმე არხეინად.

— სინიდისიერ მოვალეობის ასრულების მაგალითი თუ გინდათ, აი სწორედ ეს არის. ბერლინში ერთი პოლიციელი თავისს ალაგსა მდგარა და დაუნახავს, რომ იმისს ცოლს ერთი გობი ნარეცხი წყალი გადმოუღვრია. მშვიდობიანობისა და წესიერების მეთვალყურეს მაშინვე პოლიციაში უჩივლია, შეუდგენიათ ოქმი და პოლიციელის ცოლი პასუხის-გებაში მიუციათ. სასამართლოს დამნაშავესათვის თუმნამდის ჯარიმა მიუსჯავს და ეს ფული მაშინვე გადაუხდია... ქმარსა.

## დეპეშა

6 სექტემბერი

სპალა. ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერატრიცამ, როცა რკინის გზით სპალაში მიბძანდებოდნენ, დაათვალიერეს ხოლმი. სადგურზე მათ უდიდებულესობათა მიეგებნენ ვარშავის გუბერნატორი და ადგილობრივის მთავრობის წარმომადგენელნი. მათი უდიდებულესობანი ეტლით წაბრძანდნენ სობოროში. როცა კიბეზე ავიდნენ, მათ უდიდებულესობათა გლეხებმა მიართვეს პურ-მარილი; კიბის ორსავე მხარეზე და მოედნის სიგრძეზე თვით სობორომდე იდგნენ სავაჟო და საქალებო სასწავლებლების მოწაფენი, რომლებმაც მათ უდიდებულესობათა გასავლელი გზა სულ ყვავილებით მოჰფინეს. სობოროში მათ უდიდებულესობათა მიეგებნენ მისი ყოვლად მაღალ-უსამღვდელოესობა ლეონტი და მისი ყოვლად-უსამღვდელოესობა ფლავიანი. მათი უდიდებულესობანი ემთხვივნენ სასწაულ-მოქმედს ხატს და შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ და წამოვიდნენ რკინის გზის სადგურზე. ხალხმა დიდის ამბით გააცილა მათი უდიდებულესობანი.

პრაგა. სტარო-ჩეხების კონგრესზე შეიკრიბა ათასიოდე კაცი. რიგერს კრება დიდის თანაგრძნობით მიეგება. რეზოლიუციაში მოხსენებულია, რომ ჩეხები არ გადაუდგებიან სახელმწიფო მართლიერებას ჩეხიისას და ავტონომიურს უფლებას ოლქებისასა და თემებისას; აგრეთვე ჩეხები აცხადებენ, რომ ჩვენ ვეცდებით ერთმანეთს გავუთანასწოროთ ორივე ერი ჩეხიაში მცხოვრებიო.

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა ასწია დისკონტი 3—4%-მდე.

ლვოვი. მიტროპოლიტმა სემბრიტოვიჩმა უბრძანა სამღვდელოებას, რომ დიდის ამბით იდღესასწაულონ 13 ოქტომბერი—დღე რუსინების ნათლისღებისა.

პრაგა. იმავე დროს, როცა სტარო-ჩეხებმა თავი მოიყარეს, კონგრესის მახლობლად შეიკრიბნენ მლადო-ჩეხები; ამ კრებაზე ათი ათასამდე კაცი დაესწრო. კრებამ სტარო-ჩეხების საწინააღმდეგო რეზოლიუცია დაადგინა.

პეტერბურგის ბირჟა, 2 სექტემბერი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 75 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 155¼ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | 1 | 21 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | „ | — | „ | 262½ | |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 237½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
სექტემბერი 30 დღით არის.

7 დღე ოთხშაბათი. ღირსისა ლუკასი. კათოლ. რეგინასი. მუსულ. მე-13 რიცხვი თვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—44, ჩადის 6—3. მთვარე 14 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | . | 3½ | „ |
| „ 2 „ | | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | „ |
| „ „ 2 — | | 4 | „ |
| „ „ 3 „ | | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | . | 4 | |
| მე-3 — . | . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . | . | 8 | „ |
| „ 2 „ | | 7 | „ |
| სუკი | . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | „ |
| ღორის ხორცი . | . | „ | „ |
| „ 2 „ | | „ | „ |


## განცხადებანი

სასწავლებელი და პანსიონი ი. რ. მრევლიშვილისა

ნიკოლ. ქ., სახლი № 21, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ამზადებს ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლებისათვის. დაწვრილებითი პირობანი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით სასწავლებელში. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბერს. (10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |

მზადდება და ამ დღეებში გაიღება სასტუმრო

პურ-ღვინო

გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლებში, სადაც აქამდე ეჭირა დიდ-ზურაბოვს. როგორც ბუფეტი, აგრეთვე ოთახები სრულებით ახლად იქნება გალამაზებული და გადაკეთებული. ევროპიულ საჭმელების გარდა „პურ-ღვინოში“ მსურველი იშოვნის ყოველ გვარ კავკასიურ საჭმელებს, ქართლურს, იმერულს, გურულსა და სხვას, ნამდვილს ადგილობრივს გემოვნებაზედ მომზადებულს. კავკასიურ საჭმელების მოსამზადებლად განგებ მოწვეული გვყავს ადგილობრივი მზარეულები. ფასები ყველაფრისა ზომიერი იქნება.

(3—2) ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე

სკოლა და პანსიონი

მ. ა. ნასიძისა

(კუკიაში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—10)

**Въ центральной книжной торговлѣ, въ Тифлисѣ, находится складъ нижеслѣдующихъ книгъ:**

**Захаровъ.** Собраніе примѣровъ для письменнаго исчисленія, изд, 8-е цѣна 20 к.

**Вересовъ.** Рисованіе по сѣткѣ. Для самостоятельныхъ занятій дѣтей въ школѣ и дома, изд. 2-е ц. 20 к.

**Дрбоглавъ.** Пособіе для первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

„ Опытъ методики первоначальнаго обученія латинскому языку, курсъ 1 и 2 классовъ. ц. 80 к.

**Ракушанъ.** Arriani anabasis. Для учениковъ 3 класса гимназій и прогимназій. ц. 65 к.

**Агнiевъ** Первый шагъ въ изученіи русскаго языка для начальныхъ грузинскихъ школъ. ц. 40 к.

**Беккъ.** Энциклопедія теоретической философіи. ц. 1 р. 20 к.

**Вейденбаумъ.** Путеводитель по Кавказу, съ 12 рисунками и картою Кавказа. ц. 3 р. 50 к.

**Чубиновъ.** Русско-Грузинскій словарь.

Тамъ-же заготовленъ большой запасъ учебниковъ къ предстоящему учебному году. (5—3)


Доз. ценз. Тифлисъ, 6-го Сентябрь 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე